საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 36 22/05/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის # 118 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 – 2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07თებერვლის #23 დადგენილების ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“#1 დანართის მე–2 მუხლის მე-3 და მე4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება დანართი #1 შესაბამისად (თან ერთვის)

მუხლი 2. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 – 2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში და ნუსხას დაემატოს #1 დანართით განსაზღვრული პროექტები.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს (მ.ფხალაძე).

მუხლი4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე